

## Georgian Hospitality

### Georgian transcript:

**რუსო:** ქართულ სტუმართმოყვარეობაზე რომ მოგვიყვე თუ შეგიძლია?

**მეგობარი:** ნუ ქართველი ხალხი ძალიან სტუმართმოყვარე არის და ძალიან უყვარს სტუმარი, განსაკუთრებით ჩვენ, ჩემს მეგობრებს ვისთანაც ძალიან დიდი შეხება მაქვს აი ძაან, მემგონი ზედმეტებიც მოგვდის ხოლმე ისეთი სტუმართმოყვარეები ვართ მე ეგრე ვთვლი რატომღაც რა. და რავიცი, გადაყვება ქართველი ადამიანი, გადაყვება ნამდვილად იმ უცხოელს; აჩვენებს ყველფერს, კარგს აბსოლიტურად და სულ რომ ელემენტარული რაღაც აი საშუალება არ ქონდეს რა აი გასაკეთებელს იმდენს გაუკეთებს რომ აჩვენოს თავისი ხასიათი, თავისი კულტურა, თავისი ოჯახი და თავისი საქართველო რა.

**რუსო:** და აი ვთქვათ უფრო არა... უფრო უბრალო ვარიანტში აი სიტყვაზე მეგობარი მეგობართან რომ მივა, ან ნათესავი ნათესავთან მაშინ როგორ გამოიხატება სტუმართმოყვარეობა?

**მეგობარი:** როგორ გამოიხატება სტუმართმოყვარეობა და რავიცი უმასპინძლებიან ერთმანეთს. ან თუ მაგალითად მივდივარ ჩემს მეგობართან რაღაცეებს ვყიდულობ და ავდივარ რაღაც რაღაცეებით დატვირთული ასე შემდეგ რაღაც პროდუქტით. ნუ რა თქმა უნდა თუ ფილმს უნდა ვუყუროთ, უკაცრავად, თუ ფილმს უნდა ვუყუროთ რაღაც ცოტა რაღაცეებს ისეთს ვიყიდი: ლუდი, ჩიფსი, რაღაც ისეთი რომ გაერთო რა და თუ ისე ავდივარ აი სანახავად რაღაცა, მაშინ სხვა რაღაცეებს ავიტან რა. ანუ ყველა თითქმის მასე იქცევა რა, იგივე ანალოგიურად ჩემთანაც რომ მოვიდეს მეგობარი ეგრე მოიქცევა ზუსტად.

**რუსო:** ანუ ხელცარიელი ასვლა მაინც არ არის ხო მიღებული და სტუმარიც რომ...

**მეგობარი:** მიღებული არა რატომღაც უხერხული არის, უხერხულად ითვლება საქართველოში ეგ .

**რუსო:** და მასპინძელიც რომ გხვდება შესაბამისად ალბათ უნდა ...

**მეგობარი:** რა თქმა უნდა კი ის აუცილებლად გაგიმასპინძლებს, აუცილებლად.

**რუსო:** კარგი, დიდი მადლობა.

**English translation:**

**Ruso:** Can you tell us about Georgian hospitality?

**Friend:** Well Georgian people are very hospitable and love their guests very much, especially us, my friends who I have very close contact with we sometimes even overdo our hospitality, I think. And I don't know, a Georgian will really do everything for the foreigner; show her everything good, absolutely, and if she simply is not financially well off, she'll do everything she can to show the guest her character, her culture, her family, and her Georgia.

**Ruso:** And let's say in a simpler version, when a friend goes to a friend, or a relative to relative, how is the hospitality manifested then?

**Friend:** How is the hospitality manifested, I don't know they host each other. For example when I go to my friend, I buy stuff and go loaded with products and etc. Well of course if we'll be watching a movie, excuse me, if we're watching a film then I'll buy something like beer and chips and something to have fun and if I'm just going to pay a visit then I'll take something else. This is how almost everyone behaves, same way if a friend comes to me he'll behave the same way.

**Ruso:** So it's not acceptable to go with bare hands?

**Friend:** It's not unacceptable, but it's somehow awkward, it's considered awkward in Georgia.

**Ruso:** And so the host therefore also...

**Friend:** Of course she'll also treat you with something.

**Ruso:** Okay, thank you very much.

**About CultureTalk:** CultureTalk is produced by the Five College Center for the Study of World Languages and housed on the LangMedia Website. The project provides students of language and culture with samples of people talking about their lives in the languages they use every day. The participants in CultureTalk interviews and discussions are of many different ages and walks of life. They are free to express themselves as they wish. The ideas and opinions presented here are those of the participants. Inclusion in CultureTalk does not represent endorsement of these ideas or opinions by the Five College Center for the Study of World Languages, Five Colleges, Incorporated, or any of its member institutions: Amherst College, Hampshire College, Mount Holyoke College, Smith College and the University of Massachusetts at Amherst.